

ეწინააღმდეგება თუ არა რეფერენდუმის შედეგების გაუქმება დემოკრატიულ პრინციპებს?

ნინო ფასიეშვილი

ივანე ჯავახიშვილის სახელობის თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტის სოციალურ და პოლიტიკურ მეცნიერებათა ფაკულტეტის სტუდენტი

მიმართულება: საერთაშორისო ურთიერთობები

დიდ ბრიტანეთში 2016 წლის 23 ივნისს ჩატარდა რეფერენდუმი, სადაც მოსახლეობას უნდა მიეღო გადაწყვეტილება, სურდა თუ არა ევროკავშირის დატოვება, ან გაერთიანებაში დარჩენა. რეფერენდუმში მონაწილეთა უმრავლესობამ - 51,9%-მა, მხარი დაუჭირა ევროკავშირიდან გასვლას, ხოლო 48,1% ამ საერთაშორისო ორგანიზაციიდან გასვლის წინააღმდეგი იყო. დიდი ბრიტანეთი ევროკავშირიდან 2019 წლის 29 მარტს უნდა გასულიყო, თუმცა ის კვლავ ამ საერთაშორისო ორგანიზაციის წევრად რჩება. 2019 წლის 21 მაისს ბრიტანეთის პრემიერ მინისტრი ტერეზა მეი პარლამენტს ბრექსიტთან დაკავშირებით კენჭისყრას დაპირდა.¹ განმეორებითი რეფერენდუმის ჩატარება, აწ უკვე ჩატარებული რეფერენდუმის შედეგების გაუქმებას ნიშნავს. შესაბამისად, მიმდინარე მოვლენებიდან გამომდინარე, აქტუალური გახდა შემდეგი საკითხი - ეწინააღმდეგება თუ არა რეფერენდუმის შედეგების გაუქმება დემოკრატიულ პრინციპებს? საერთაშორისო საზოგადოებას აღნიშნული საკითხის მიმართ განსხვავებული დამოკიდებულება აქვს. ნაწილს მიაჩნია, რომ რეფერენდუმის შედეგების გაუქმება ნიშნავს დემოკრატიული პრინციპების უგულვებელყოფასაც, ხოლო მეორე ნაწილი არ ეთანხმება ამ მოსაზრებას. ჩემი პოზიცია ამ საკითხთან მიმართებაში არის ის, რომ მოსახლეობის პირდაპირი მონაწილეობა ქვეყნისთვის უმნიშვნელოვანესი საკითხების გადაწყვეტისას არის დემოკრატიის ერთ-ერთი იარაღი, რათა გამოხატული და დაცული იყოს ხალხის პოზიცია. შესაბამისად, მათი ნების უგულვებელყოფა სწორედაც ეწინააღმდეგება დემოკრატიულ პრინციპებს. შევეცდები ჩემი პოზიცია განვამტკიცო შესაბამისი არგუმენტებით.

უპირველეს ყოვლისა, მნიშვნელოვანია განვსაზღვროთ რეფერენდუმის არსი, რათა უკეთ გავაცნობიეროთ მისი მნიშვნელობა. რეფერენდუმი ეს არის საყოველთაო-სახალხო კენჭისყრა (გამოკითხვა) სახელმწიფო ან საზოგადოებრივი მნიშვნელობის რომელიმე საკითხზე. აღსანიშნავია, რომ რეფერენდუმის გზით ხდება ისეთი მნიშვნელოვანი საკითხების გადაწყვეტა, როგორცაა კონსტიტუციის მიღება, ტერიტორიული საკითხები, დამოუკიდებლობის მოპოვება თუ აღდგენა და ა.შ.² მაგალითად, საქართველოში 1991 წელს ჩატარებულმა რეფერენდუმმა მხარი დაუჭირა ქვეყნის სახელმწიფოებრივი დამოუკიდებლობის აღდგენას, რაც იმავე წლის 9 აპრილს მიღებული შესაბამისი საკანონმდებლო აქტით გაფორმდა. შეგვიძლია ვთქვათ, რომ რეფერენდუმი ეს არის პირდაპირი დემოკრატიის გამოხატულება, როდესაც მოსახლეობა ხმის დაფიქსირების გზით ირჩევს არა მისი ინტერესების გამტარებელ წარმომადგენელს, არამედ უბრალო უმრავლესობის პრინციპით თავად წყვეტს რაიმე უმნიშვნელოვანეს საკითხს. აქედან გამომდინარე, შეგვიძლია ვთქვათ, რომ, სხვა თუ არაფერი, რეფერენდუმის შედეგების

¹ <https://www.bbc.com/news/uk-politics-32810887> ბოლო ნახვა 24.05.2019

² ლ.ალექსიძე(რედ), ადამიანის უფლებათა საერთაშორისო სამართალი, თბილისი 2005

გაუქმება ნიშნავს უპატვემულობას საკუთარი მოსახლეობის უმრავლესობის, რომლებიც რაიმე საკითხს ეთანხმება ან არ ეთანხმება.

რეფერენდუმის ჩატარება ხდება საჭირო მაშინაც, როდესაც რაიმე საკითხის გადაწყვეტა ვერ ხერხდება წარმომადგენლობითი ორგანოს მიერ, მაგალითად როდესაც არსებობს განსხვავებული შეხედულებები არა მხოლოდ სხვადასხვა პარტიებს შორის, არამედ ერთი რომელიმე პარტიის წევრები ვერ თანმხედებიან მოცემულ საკითხზე. აღსანიშნავია, რომ ერთი მხრივ, სწორედ ამ მოცემულობამ განაპირობა დიდ ბრიტანეთში 2016 წელს რეფერენდუმის ჩატარება. ამგვარი შემთხვევის მაგალითს ასევე წარმოადგენს 2014 წელს შოტლანდიაში ჩატარებული რეფერენდუმი დამოუკიდებლობის საკითხთან დაკავშირებით, როდესაც პოლიტიკური პარტიები უბრალოდ ვერ შეთანხმდნენ. მიუხედავად იმისა, რომ მოსახლეობის უმრავლესობამ მხარი არ დაუჭირა დამოუკიდებლობის მოპოვებას, მოსახლეობის აქტივობა იყო ძალიან მაღალი. რეფერენდუმში მონაწილეობა მიიღო მოსახლეობის 84%-მა, რაც გაცილებით მაღალი მაჩვენებელია, ვიდრე მომდევნო წლებში არჩევნებში იგივე მოსახლეობის აქტივობის გამომხატველი რიცხვები.³ ეს მაგალითი ერთი მხრივ, გვიჩვენებს, რომ რეფერენდუმის ჩატარება წარმოადგენს დემოკრატიის დამატებით მექანიზმს, რომელიც მოსახლეობის ნების დაფიქსირების გზით უზრუნველყოფს კრიზისის თავიდან აცილებას ქვეყანაში, როდესაც პოლიტიკურ პარტიებს შორის არსებობს რადიკალურად განსხვავებული აზრები. მეორე მხრივ, ეს მაგალითი გვიჩვენებს იმას, რომ თავად მოსახლეობისთვის მნიშვნელოვანია ისმოდეს მისი ხმა, დაცული იყოს მისი არჩევანი, თავად მიიღოს გადაწყვეტილება. შოტლანდიაში მოსახლეობის არჩევანი იქნა მიღებული და გათვალისწინებული და არც კი განიხილებოდა მეორე რეფერენდუმის ჩატარების იდეა, მიუხედავად იმისა, რომ მომხრეთა და მოწინააღმდეგეთა პროცენტულ რაოდენობას შორის არც ისე დიდი განსხვავება იყო. სხვაგვარად წარიმართა პროცესები დიდ ბრიტანეთში.

დიდი ბრიტანეთის შემთხვევაში განიხილება განმეორებითი რეფერენდუმის ჩატარების საკითხი, რადგან კრიზისის თავიდან აცილება ვერ მოხერხდა. შეგვიძლია, ვიმსჯელოთ, თუ რამ გამოიწვია მწვავე პოლიტიკური მდგომარეობის შექმნა ამ სახელმწიფოში. დავიწყოთ იმით, რომ ტერეზა მეი ბრიტანეთის ახალი პრემიერ-მინისტრი მას შემდეგ გახდა, რაც ამ თანამდებობიდან დევიდ კამერონი გადადგა. კამერონი რეფერენდუმამდე ამბობდა, რომ თუ მოსახლეობის უმრავლესობა მხარს დაუჭერდა ევროკავშირიდან დიდი ბრიტანეთის გასვლას, თანამდებობას დატოვებდა, რადგან ის ამ პოზიციას არ უჭერდა მხარს. შეიძლება ითქვას, რომ კამერონს იმედი ჰქონდა, რომ მსგავსად 1975 წელს ჩატარებული რეფერენდუმისა, მოსახლეობა არ დაუჭერდა მხარს დიდი ბრიტანეთის გასვლას ევროკავშირიდან, თუმცა მისი ვარაუდი არ გამართლდა. საინტერესოა, რომ, კამერონის მსგავსად, ევროკავშირის დატოვებას არ ემხრობოდა ტერეზა მეიც. თუმცა, შემდგომში ის ამბობდა, რომ მხარს უჭერდა გასვლას, რადგან ეს ბრიტანელების გადაწყვეტილება იყო. რეფერენდუმის შედეგების მიუხედავად, არ ცხრებოდა იმ ადამიანების უკმაყოფილება პოლიტიკურ ელიტებში, რომლებიც ამ პროცესის

³ <https://www.bbc.com/news/events/scotland-decides/results> ბოლო ნახვა 24.05.2019

წინააღმდეგნი იყვნენ, შესაბამისად, “ბრექსიტის” პროცესების მიმდინარეობისას ბევრი წინაღობა შეიქმნა. დღეს კი ვხედავთ, რომ ნელ-ნელა საკითხი შეიძლება იმ მიმართულებითაც წავიდეს, რომ “ბრექსიტის” პროცესი შეწყდეს. განმეორებითი რეფერენდუმის ჩატარები ტერეზა მეიმ გააჟღერა, როდესაც იგი ჩიხში მოექცა. ტ. მეი პარლამენტს დაპირდა განმეორებითი რეფერენდუმის ჩატარებას, რადგან ცდილობდა პარლამენტის მხარდაჭერის მოპოვებას უკვე სამჯერ უარყოფილ შეთანხმებაზე. საინტერესოა, თუ სად გაქრა ბრიტანელების ნება? ამ შემთვევაში საქმე შეიძლება იმაშიც იყოს, რომ პარლამენტს დიდ ბრიტანეთში პოლიტიკური პროცესების წარმართვაში აქვს ყველაზე დიდი გავლენა. პარლამენტს შეუძლია რეფერენდუმის შედეგების გაუქმება, რაც არ ხდება სხვა ლიბერალურ-დემოკრატიულ სახელმწიფოებში. მართალია, პარლამენტს ეს გადაწყვეტილება არ მიუღია, თუმცა პროცესების დროში გაწელვა შეიძლება იმის მინიშნებაც იყოს, რომ ადრე თუ გვიან „ბრექსიტის“ პროცესი შეწყდება. ჩემი აზრით, იმგვარი უფლების ქონა, რომელიც ხალხის გადაწყვეტილებას უგულვებელყოფს, არის დემოკრატიული პრინციპებისთვის საფრთხის შემცველი, რაც იმგვარი სახელმწიფოს იმიჯზე, როგორც დიდი ბრიტანეთია, საკმაოდ არასახარბილოდ მოქმედებს.

კონტრარგუმენტი მოცემულ საკითხთან დაკავშირებით შეიძლება იყოს ის, რომ მოსახლეობა გარკვეული საკითხების გარშემო არ ფლობდეს საკმარის ინფორმაციას და არ შეეძლოს გაცნობიერება ამა თუ იმ საკითხის მნიშვნელობის. განმეორებითი რეფერენდუმი კი მათ აძლევთ შანსს, რომ გაერკვნენ და ისე დააფიქსირონ საკუთარი აზრი. ვფიქრობ, ეს მოსაზრება არ არის გამართლებული, რადგან რეფერენდუმები ტარდება ისეთ საკითხებზე, რომლებიც ფუნდამენტური და კომპლექსურია, თუმცა მოითხოვს ხალხის ნების არსებობას. თუ ხალხს არ აქვს ნება გახდეს დამოუკიდებელი, მაშინ დამოუკიდებლობის მოპოვებას აზრი ეკარგება, რადგან ასეთი სახელმწიფო განწირული იქნება დაშლისთვის. უბრალოდ, შეუძლებელია მოსახლეობა გაუცნობიერებელი იყოს ამგვარ საკითხში. ასევე, კონტრარგუმენტის სახით რეფერენდუმებში მოსახლეობის აქტივობის დაბალ მაჩვენებელსაც ასახელებენ, არჩევნებთან შედარებით, თუმცა ზემოთ მოყვანილი 2014 წლის შოტლანდიის რეფერენდუმის მაგალითი საწინააღმდეგოზე მეტყველებს.

დასკვნის სახით შეიძლება ითქვას, რომ წარმომადგენლობითი დემოკრატიის არსებობასთან ერთად მნიშვნელოვანია, შენარჩუნებული იქნას პირდაპირი დემოკრატიის ელემენტი, თუნდაც რეფერენდუმის სახით. რეფერენდუმის შედეგების აღიარება და პატივისცემა არის უმნიშვნელოვანესი, რადგან, ერთი მხრივ, ის გამოხატავს მოსახლეობის უმრავლესობის პოზიციასა და ნებას ფუნდამენტურ საკითხებზე, მეორე მხრივ კი თუ მას რეალური ძალა არ გააჩნია, მაშინ მისი ჩატარება აზრს მოკლებულია. განმეორებითი რეფერენდუმის ჩატარება, თვისთავად, ნიშნავს მოსახლეობის პოზიციის უგულვებელყოფას. შესაძლოა განმეორებითმა რეფერენდუმმა იგივე შედეგი აჩვენოს, თუმცა აზრის გადასინჯვის მცდელობა უკვე ნიშნავს, პირველ რიგში, საკუთარი მოსახლეობის უმრავლესობის აზრის უპატივცემულობას და დემოკრატიული პრინციპების უგულვებელყოფას. ეს კი ისეთი ქვეყნების იმიჯსა და საერთაშორისო ასპრეზზე გავლენაზე, რომლებიც დემოკრატიულობაზე და სახელმწიფოს მართვის პროცესში ხალხის მონაწილეობაზე აცხადებენ პრეტენზიას, ცუდად აისახება.